პირველი დამარცხება

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 26 აპრილი.

“დინამო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 3:1 (1:1).

თბილისი: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მოსკოვი: იაშინი, მუდრიკი, ანიჩკინი, ცარევი, გლოტოვი, მასლოვი, კოროლენკოვი, ჩისლენკო (ნიკოლაევი), ვშივცევი, გუსაროვი, ფადეევი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

მოსკოვის მაყურებელი უდიდესი ინტერესით მოელოდა ლიდერის გამოსვლას დედაქალაქში. თბილისელთა თამაშზე და წარმატებებზე იმდენი რამ დაიწერა და ითქვა წელს, რომ ფეხბურთის მოყვარულთა შორის გუნდის გამოსვლა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. სპეციალისტებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საკითხი, თუ როგორ შეძლეს თბილისელებმა უმაღლეს დონეზე თამაშის მიღწევა, როცა მათ დაცვის ხაზებს აკლია სამი ძირითადი მოთამაშე - კოტრიკაძე, ხურცილავა და ჩოხელი.

განვლილი მატჩისათვის ორივე გუნდი თავისებურ “გამოუვალ” მდგომარეობაში იმყოფებოდა: ლიდერისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ქულის დაკარგვა, ვინაიდან მას კვალდაკვალ მიჰყვება გუნდების მოზრდილი ჯგუფი, ხოლო რაც შეეხება შარშანდელ ჩემპიონს, მას სულ რაღაც 5 ქულა ჰქონდა 5 მატჩის შემდეგ.

ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩში ორივე მოწინააღმდეგე ძალების სრული დაძაბვით იბრძოდა, მაგრამ მაინც, თბილისელებმა, როგორც ეს მათ ხშირად მოსდით, ვერ გამოავლინეს ნებისყოფის საჭირო სიმტკიცე და გაუშვეს ბურთები, რომელთა გადარჩენა შეიძლებოდა. მცველებს (მაგალითად, პეტრიაშვილს) აშკარად უმტყუნა ნერვებმა, როცა ყოველ ტაიმის დასაწყისში (მე-4 და მე-2 წუთებზე) საშუალება მისცეს ვშივცევს გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტები, ხოლო რაც შეეხება მესამე გოლს (57-ე წუთი), გატანილს იმავე ვშივცევის მიერ, ეს უკვე კურიოზი იყო. გაუგებარია, როგორ მისცა პეტრიაშვილმა ბურთი ვშივცევს და შესაძლებლობა შეუქმნა მას გაეტანა ლეჟავას კარში.

ანგარიში გახსნეს მოსკოვლებმა. შემდეგ, 24-ე წუთზე ბარქაიამ, რომელსაც თვალმოუცილებლივ დარაჯობდნენ მცველები, საუკეთესოდ დაამუშავა ბურთი, გადასცა მარცხნივ და იამანიძემ თავით გაგზავნა იგი იაშინის კარში - 1:1. დანარჩენი გოლები ვშივცევმა გაიტანა მეორე ტაიმში.

თბილისელები ძალზე აქტიურად და მწვავედ თამაშობდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩემპიონის კართან მრავალი ძალზე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი, გარდა ამისა, სუკეთესოდ ითამაშა იაშინმა. მოსკოველი მაყურებლისათვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა მესხის სუსტი თამაში. იგი თითქმის არ ჩარეულა ბრძოლაში.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისის “დინამოს” დუბლიორებმა, რომლებმაც დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

ვ. პავლოვი.

“ლელო”, 28 აპრილი, 1964 წ.